საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს!

ლენინური

გაზეთი გამოდის 1933 წლიდან

ცაგერის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს ორგანო

№16 (6391) 7 თებერვალი ხუთშაბათი 1991 წელი ფასი 5 კაპიკი

ხვალ აღმაშენებლობაა! სრულიად საქართველოს ერი ვულოცავთ ამ დიდ დღესასწაულს და ვავედრებთ წმინდა მეფე დავითს მისი მრავალტანჯული ქვეყნის მომავალს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გულისთქმა

სატკივარს მოვუვლით

ცენტრი ახალ-ახალ „სიურპრიზებს“ გვთავაზობს, როცა „ვრემიაში“ გამოჩნდა ცნობა იმის შესახებ, რომ მშვიდობიანი მოსახლეობის ინტერესების „დასაცავად“ საკავშირო ხელისუფლებამ მიიღო გადაწყვეტილება მილიციისა და სამხედრო პირთა ერთობლივი პატრულირების შესახებ, ქართველმა საზოგადოებამ, სხვა რესპუბლიკებმაც დაგმეს კრემლის ახალი ბრძანებულება, რამეთუ ეს არის სამხედრო დიქტატურისკენ გადადგმული კიდევ ერთი ნაბიჯი. ბრძანება არ შეუთანხმებიათ რესპუბლიკებთან, უზენაეს საბჭოსთან, რაც ეწინააღმდეგება როგორც საბჭოთა კავშირის კონსტიტუციას, ისე საერთაშორისო სამართლის ნორმებს.

საქართველოს უზენაესმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება აღნიშნული ბრძანების რესპუბლიკის ტერიტორიაზე შეჩერების შესახებ, რაც სავსებით სწორია და თითოეული ქართველი მივესალმებით. ჩვენს დაძაბულ ნერვებს აღარ სჭირდება კიდევ გაღიზიანება, ვითარების გაუარესება. ამიტომ ყოველი ჩვენთაგანი ხმამაღლა ვაცხადებთ, რომ საკუთარ სატკივარს საკუთრივ მოვუვლით, არ გვინდა არავის „დახმარება“.

ჩვენვე

რესპუბლიკაში მოძალებული დანაშაულობების აღკვეთა-გამოვლენას ჩვენი ეროვნული მილიცია შეძლებს, მაგრამ ასეთ სიტუაციაში მათ დიდი თანადგომა სჭირდებათ. მით უფრო, როცა მათი აბსოლუტური უმრავლესობა ოსეთშია მობილიზებული და ყოველდღე სიკვდილის მოლოდინშია.

თუ დღესდღეობით საკუთარი ძალები არ გვყოფნის, აუცილებელია გაიზარდოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მუშაკთა კონტიგენტი, ჩამოყალიბდეს ეროვნული გვარდია, ხელი შევუწყოთ მილიციას დანაშაულის მხილებაში, იარაღით უზრუნველყოფაში, სათანადო უფლებამოსილებათა განხორციელებაში.

ახლა მთავარია ჭკუით, გონიერებით გავიკაფოთ წინ გზა სრული თავისუფლებისაკენ, გავუფრთხილდეთ ერთმანეთს, ნუ დავასხამთ წყალს მტრის წისქვილზე, თითოეული ქართველის სიცოცხლე როგორც არასდროს, ისე ძვირფასი და ხელშეუხებელია დღეს. თუ ჩვენ ერთმანეთი გავძარცვეთ, დავხოცეთ, მტერი ადვილად მოგვერევა. ამის საფუძველი არ უნდა შევქმნათ.

მ. გურული.

ოჯახი

იმედით, რწმენით

„ჩვენს ეკონომიკურ ყოფა—ცხოვრებას რომ კაცი რიგიანად და გონიერად დააკვირდეს, ბევრს საგულისხმოს იპოვის, ერთი უდიდესი და უპირველესი სახსარი ჩვენის ეკონომიურის ცხოვრებისა მიწათმოქმედებაა“—ბრძანებდა დიდი ილია.

დღეს სოფელზე ბევრი ლაპარაკია. ეს კანონზომიერიცაა. სოფელი კვებავს ქვეყანას. თუ იქაურ ეკონომიკაში წესრიგია, მაშინ სხვა დარგებშიც კარგად წავა საქმე. ეს წესრიგი კი განყენებული ცნება არ არის, მას მიწის მოყვარული ადამიანები ამყარებენ. ღმერთმა ნუ ქნას ამ სიყვარულის დაკარგვა. სიმპტომები კი იყო. თუ კაცმა ოფლის საფასური ვერ მიიღო, ვინ მოკიდებს ხელს თოხსა და ბარს.

უკანასკნელ დროს, როცა ახალმა აზროვნებამ იჩინა თავი და იჯარას მიეცა გასაქანი, მიწას პატრონი გაუჩნდა, საკუთარ კარ-მიდამოსავით უვლიდნენ გლეხები ყანას და ვენახს, ხეხილის ბაღს თუ სათიბს და შედეგიც ურიგო როდი იყო. გლეხიც მოგებული რჩებოდა და საზოგადოებრივ ყულაბაშიც მიდიოდა მისი შრომის მცირე წვლილი, რომელიც შემდეგ მისსავე კეთილდღეობას ხმარდებოდა.

დღეს რაიონის მშრომელები დიდი ინტერესით ეცნობიან საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ბატონ ზვიად გამსახურდიას გამოსვლას უზენაესი საბჭოს პირველი მოწვევის პირველ სესიაზე—საიჯარო ურთიერთობათა სრულყოფის შესახებ, სადაც ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ გარდამავალ პერიოდში, აგრარულ სექტორში მწვავე კრიზისის პირობებში სამეურნეო ურთიერთობათა მოსაწესრიგებლად ყველაზე ოპტიმალურ ფორმად მიჩნეულია მიწის იჯარა, უპირატესად სანარდო იჯარა.

ერთ-ერთი, ვინც რწმენით უყურებს იჯარულ შრომას, კაცური კაცი, მშობელ მიწაში ღრმად ფესვგადგმული წიფერჩელი ამირან ლიპარტელიანია. კარგი კარ-მიდამო და შესანიშნავად მოვლილი ყანა და ზვარი, პირუტყვი—ბარაქიანი, ფრინველი—ჯიშიანი, მშველელი—საკუთარი ცოლშვილი.

ამირან და ლამარა ლიპარტელიანებმა ხუთი შვილი—4 ვაჟი და ერთი ქალიშვილი გაუზარდეს ქვეყანას. შვილებს პატარაობიდანვე შეაყვარეს მიწა და შრომა, ხურაბი და რამაზი სოფელში მამას უდგანან მხარში საქმის გამგრძელებლად, მამუკა და მარიკა ჯერ ბარდნალის საშუალო სკოლის მოსწავლეები არიან, მაგრამ უფროსებს ტოლს არ უდებენ შრომაში. მათაც იციან, რომ მიწა დღეს ოჯახის, ქვეყნის ეკონომიკური ძლიერების სასიცოცხლო ძარღვია. კარგად ხედავენ, დღეს ოჯახში რამდენი კაციც არ უნდა ესტუმროთ, მეზობელთან არაფერზე გადავლენ.

უყურებ დედ-მამისა და შვილების გულიან გარჯას და გიხარია, რომ ასეთი ოჯახები არსებობენ.

მიწას კელავაც უპატრონებენ, სიმინდისა და ყურძნის ხვავს დააყენებენ. აბრეშუმს გამოკვებავენ, თავსაც არგებენ და ქვეყნის წინსვლის საქმეშიც მოკრძალებულ წვლილს შეიტანენ.

ბ. ბაქრაძე.

გაზაფხული კარზეა — მზადაა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა?

ცაგერი

კოლმეურნეობები დაიშლება თუ განაგრძობს ფუნქციონირებას, საგაზაფხულოდ მზადება ჩვენთვის მთავარი და უმთავრესი საქმეა. რადგან სწორედ გაზაფხულზე მზადდება საფუძველი უხვი მოსავლისათვის და თუ ტექნიკას საამისოდ არ მოვამზადებთ, ხვნა-თესვის გაჭიანურება დაკარგულ მოსავალს ნიშნავს.

რაიონის რიგ კოლმეურნეობებსა თუ საზოგადოებრივ მეურნეობებში, სამწუხაროდ, მექანიზატორები ტექნიკის მითვისება-დასაკუთრებაზე უფრო ფიქრობენ, ვიდრე მის დროულად გარემონტებაზე და სოფლის მშრომელების შეღავათიან ფასში მომსახურებაზე.

მისაბაძია ცაგერის კოლმეურნეობის მექანიზატორთა საქმიანობა. აქ სამი სახნავი ტრაქტორი ჰყავთ, აქედან ერთს კაპიტალური რემონტი ესაჭიროება, ორს კი—მიმდინარე რემონტი. მექანიზატორები ოლეგ საღინაძე, მალხაზ ლიპარტელიანი, როლანდ საღინაძე ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, მიმდინარე რემონტი თვითონვე ჩაუტარონ ტრაქტორებს, კაპიტალური რემონტისათვის დროულად შეიძინონ მარაგნაწილები ისე, რომ ტრაქტორების რემონტი არ გაჭიანურდეს და მოახლოებულ გაზაფხულს მომზადებული ტექნიკით შეხვდნენ.

ტვიში

თებერვალი დადგა, ხეში წყალი ჩადგა—ეს ხალხური ნათქვამი გვაფიქრებინებს, რომ მიუხედავად თოვლიანობისა, გაზაფხული კარზეა და დროა ვიზრუნოთ იმისათვის, რომ საგაზაფხულო სანუშაოები არ ჩამორჩეს, ტექნიკის რემონტი არ დაგვიანდეს და ყველაფერი, რაც საგაზაფხულო სამუშაოებისათვის მზადყოფნასთანაა დაკავშირებული, ორგანიზებულად წარიმართოს.

ტვიშის კოლმეურნეობაში საგაზაფხულო ხვნა-თესვისათვის 3 ტრაქტორია მზადყოფნაში. ჯემალ გაბიძაშვილი და ვებენ ჩაკვეტაძე დიდი გამოცდილების მქონე ტრაქტორისტებია, რომლებიც სისტემატურად, საკუთარი ძალებით ახდენენ ტრაქტორების შეკეთებას. ასევ ახლაც, ტრაქტორები უკვე მზადა ჰყავთ საგაზაფხულო ხვნა-თესვისთვის და სეზონის დადგომას მოლოდინში არიან.

ლასურიაში

ზამთარი ტექნიკის „მკურნალობის“ ხელსაყრელი პერიოდია, ახლა გონიერი მექანიზატორი სრულ წესრიგში აყენებს მანქანა-ტრაქტორებს, თადარიგს იჭერს, რომ გაზაფხულის დადგომისთანავე მინდვრად გასულმა აგრეგატმა შეუფერხებლად იმუშაოს.

როგორც ლასურიაშის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ რ. მუშკუდიანმა გვითხრა, არსებული დტ—75 მარკის 4 ტრაქტორიდან 3 მზადყოფნაშია და მექანიზატორები გოჩა სვანიძე, ილვუჯა ახვლედიანი, ანზორ მეშველიანი, ხვნა-თესვის მოლოდინში არიან, ხოლო თამაზ ირემაძე საკუთარი ძალებით აწესრიგებს მექანიზმს.

მექანიზატორებს კარგად აქვთ შეგნებული, რომ წლევანდელი საგაზაფხულო სამუშაოების ორგანიზებულად წარმართვას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს დამოუკიდებლობის გზაზე მდგარი საქართველოსათვის.

რაიკოოპერატივის რწმუნებულთა კრებაზე

სიძნელეები უნდა დავძლიოთ

დღეს ჩვენს რესპუბლიკაში ძალზე რთული სახოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარებაა. ბევრი წინააღმდეგობა დაგროვდა პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ-კულტურულ სფეროში, რაც გარკვეულ გაღიზიანებას ახდენს ადამიანთა აზროვნებაზე, ფსიქოლოგიაზე, ყოფა-ცხოვრებაზე, რის გამოც გაჩნდა მშრომელთა პრეტენზიები. ამას დაემატა ეროვნული წინააღმდეგობანი და კონფლიქტები. ამიტომ გვმართებს უდიდესი წინდახედულობა, საქმიანობა, რათა მშრომელებს შევუქმნათ ცხოვრების ნორმალური პირობები, რადგან ცხოვრების დონე დღეს უკიდურესად დაბალია, ამას მაღაზიების ცარიელი დახლები და ბაზრის ცეცხლწაკიდებული ფასებიც ადასტურებს.

ადამიანის კეთილგანწყობილების, კეთილდღეობის შექმნაში დიდი ადგილი ეკუთვნის სამომხმარებლო კოოპერაციას, მის მუშაკებს. სწორედ მათ როლსა და ამოცანებზე იყო მსჯელობა ამ დღეებში გამართულ რაიკოოპერატივის რწმუნებულთა კრებაზე, რომელზედაც საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა რაიკოოპერატივის გამგეობის თავმჯდომარე **ზ. ბენიძე.**

კამათში მონაწილეობა მიიღეს საჯკვების გაერთიანების დირექტორმა ს. სილაგაძემ, პურკომბინატის დირექტორმა მ. გოგიძემ, ალპანის დარგობრივი გაერთიანების დირექტორმა ბ. საღინაძემ, სარეგიონო კომისიის თავმჯდომარემ ე. გუგავამ, ქვედა ცაგერის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ გ. ხვადაგიანმა, შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების სახანძრო ინსპექციის უფროსმა ლ. მეშველიანმა, რაიონული გაზეთის „ლეჩხუმის“ რედაქტორმა ნ. ნემსაძემ, ცაგერის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ხ. ჩიქოვანმა, საფინანსო განყოფილების გამგემ რ. კოპალიანმა, ოყურეშის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ვ. ყურაშვილმა, რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ, საგეგმო კომისიის თავმჯდომარემ კ. ხეცურიანმა.

რწმუნებულთა კრებაზე აღინშნა, რომ იმ მძიმე პირობებში, რაც გამოიხატებოდა დასაქონლეობის შემცირებაში, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის უვარგისობაში, სპეციალისტების არასაკმარისობაში, შარშან რაიკოოპერატივმა შეძლო შეესრულებია საქონელბრუნვის გეგმა 104 პროცენტით. ნაცვლად გეგმური 8600 ათასი მანეთისა, მომხმარებელს მიეყიდა 8953 ათასი მანეთის საქონელი. მათ შორის ცაგერის ზონამ შეასრულა გეგმა 106 პროცენტით, ალპანის დარგობრივმა გაერთიანებამ—100,1 პროცენტით.

საანგარიშო პერიოდში გადაიდგა ერთგვარი ნაბიჯი სისტემის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისათვის. აშენდა სოფელ წიფერჩის პურის საცხობი, კაპიტალური რემონტი ჩაუტარდა ღვირიშის, ალპანის, ლასურიაშის, სანორჩის პურის საცხობებს, ღვირიშის ღელის რესტორანს, ალპანის სასადილოს და სხვა ობიექტებს.

კრებაზე ხაზი გაესვა იმას, რომ უკანასკნელ პერიოდში მნიშვნელოვანი ძვრები მოხდა დადებითისაკენ ალპანის დარგობრივ გაერთიანებაში. გასულ წელს გაერთიანება სტაბილურად ასრულებდა ვაჭრობის გეგმებს, დაკომპლექტებულია ახალგაზრდა, საქმისმცოდნე კადრებით. სისტემაში შემცირდა კრედიტორული და დებიტორული დავალიანება, ადგილი არ ჰქონია გაფლანგვის ფაქტებს.

რწმუნებულთა კრებაზე დასახელდნენ ვაჭრობის ის მუშაკები, რომლებიც ვაჭრობის გეგმებს გადაჭარბებით ასრულებენ. ესეთებია ლ. გურგუჩიანი—მაღაზია „საბედნიერო“, თ. ჯიქია—წიგნის მაღაზია, თ. ბენდელიანი, ნ. ქვილთაია, მ. კოპალიანი, ნ. ქომეთიანი, ნ. კოპალიანი, ი. მამალაძე—რაიონული უნივერმაღი, შ. ჭაბუკიანი—დეხვირის საოჯახო მაღაზია და სხვა.

კრებაზე ამასთან განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა ვაჭრობის სისტემაში ჯერ კიდევ არსებულ ნაკლოვანებებზე, ხელისშემშლელ მიზეზებზე. აღინიშნა, რომ სავაჭრო მომსახურების გაუმჯობესების ერთ-ერთი ძირითადი გზაა გამოყოფილი ფონდები და მათი ათვისება. მაგრამ, სამწუხაროდ, ფონდები ძალზე შემცირებულია და ვერ აკმაყოფილებს მშრომელთა მოთხოვნებს, რის გამოც მაღაზიებში იშვიათადაა რეზინის ნაწარმი, ნავთი, საპონი, სარეცხი საშუალებები, თევზი, კარაქი, საკონდიტრო ნაწარმი, ფოვილები და სხვა.

ძალზე ცუდი მდგომარეობაა სასკოლო ბუფეტებისა და მუშათა სასადილოების ფონდით გათვალისწინებული საქონლით მომარაგებაში. არ არის ხორცი, ყველი, რძე, რძის ნაწარმი, კარაქი, მარგარინი და სხვა. კრებაზე დაისვა საკითხი, რომ ეთხოვოს განათლების განყოფილებას მინიმუმამდე შეამციროს სკოლებში გახანგრძლივებული ჯგუფების არსებობა, ასევე გაუქმებული იქნას სკოლებში ისეთი ბუფეტები, რომლებსაც მოსწავლეთა კონტიგენტის სიმცირის გამო არ აქვთ საკმარისი დატვირთვა.

ანალოგიური სახის პრობლემებია პურის ცხობაშიც, ამჟამად უნინშვნელოვანეს ამოცანად რჩება პურის მომჭირნეობით ხარჯვის საკითხი, რაც დიდადაა დამოკიდებული მატერიალურ-ტექნიკურ ბაზაზე, რომელიც რაიონში ძალზე დაბალ დონეზეა. პურით ვაჭრობაში შეინიშნება წყვეტილობა. მოსახლეობა არ არის უზრუნველყოფილი ყველა ასორტიმენტის პურით.

თანამედროვე ცხოვრება სულ უფრო დაბეჯითებით მოითხოვს იმის საჭიროებას, რომ კიდევ მეტად გარდაიქმნას კადრების მომზადების, გამოყენების საქმე, რადგან ვაჭრობა დღეს მწვავედ განიცდის კადრების დეფიციტს. ეს იმის გამო, რომ ახალგაზრდობას ეშინია სისტემაში შესვლისა და მუშაობის, რადგან იგი საკმაო სირთულეებთანაა დაკავშირებული. ამას ისიც დაერთო ზედ, რომ სისტემატური ხასიათი მიიღო არაფიზიკურ მდგომარეობაში მყოფი შეიარაღებული უცხო პირების თარეშმა, რის შედეგადაც საჯკვების გაერთიანების ქსელს დიდი მატერიალური ზარალი მიაყენეს. ჩამსხვრეულია ობიექტების ფასადების მინები, დამტვრეულია ძირითადი საშუალებები, ინვენტარი, რის გამოც ბევრი ობიექტი დღეს არ მუშაობს. ხოლო ადმინისტრაციულ ორგანოებს დღემდე არცერთი დამნაშავე პირი არ დაუჭიათ.

რწმუნებულთა კრებაზე ბევრ მტკივნეულ საკითხს გაესვა ხაზი, რომელთა გადაწყვეტა გადაუდებელი ამოცანაა. დღეს თითოეული მეპაიეს თუ ვაჭრობის მუშაკის ვალია გვერდით ამოუდგეს საქართველოს ახლად არჩეულ კანონიერ მთავრობას და ყველაფერი აკეთოს იმისათვის, რომ საქმით იქნას მიღწეული საქართველოს ეკონომიკური დამოუკიდებლობა.

ჩვენ გვწერენ

მოთმინება სადამდე?

ვინ არ იცის ჩვენი ქალაქის ცენტრში, ერთ-ერთ თვალსაჩინო ჭუჩაზე მდებარე უბადრუკი შენობა, რომელშიც ყველასათვის მეტად საჭირო და აუცილებელი რამ, სტომატოლოგიური პოლიკლინიკაა მოთავსებული. თითქოს დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია, რომ ამ შიგნიდანაც და გარედანაც გასაცოდავებულ, ძველისძველ შენობაში ავადმყოფებს 4 სტომატოლოგი-ექიმი, ამდენივე მედდა თუ ტექნიკური პერსონალი ემსახურება.

ვინც აქ მოხვედრილა, ადვილად დამეთანხმება, თუ რა გასაჭირი ადგას აქ მომსახურე ექიმებს, ექთნებს, კბილის ტექნიკოსს.

ექიმი და პაციენტი ერთმანეთს გვერდს ვერ აუვლიან, ისეთი პატარა ოთახებია, იატაკაყრილი, კედლებჩამონგრეული, შიგ თუ გარეთ უსიამო სანახავი აქაური გარემო კბილის ტკივილით ისედაც შეწუხებულ ავადმყოფებს, კიდევ უფრო უსიამოვნო მდგომარეობაში აგდებს. თუმცა, იქ მომსახურე პერსონალი ყურადღებას არ აკლებს ავადმყოფებს. პირობები კი საამისოდ არა აქვთ.

ამას ისიც ემატება, რომ კბილის საბურღი ბორბანქანა მხოლოდ ერთია, ექიმი კი... როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ოთხი თუ არა, 3 ყოველდღეა. ერთმანეთის ლოდინში, თუ როდის განთავისუფლდება და ნიეცემათ საშუალება მუშაობისა, წარმოიდგინეთ ექიმისა თუ ავადმყოფის მდგომარეობა.

წლები ბიდის და კბილის პოლიკლინიკაში, სადაც უამრავი ავადმყოფია ყოველდღე, მუშაობის პირობები სულ უფრო და უფრო უარესდება, ნუთუ ამ ხნის მანძილზე არ გამოინახა მათთვის ერთი ნორმალური შესაფერი შენობა და თუ არ გამოინახა, მისი რეკონსტრუქცია—სარემონტო სამუშაოების წარმართვა მაინც რატომ არ მოხერხდა ისე, რომ აქ მონუშავე ასე საჭირო პროფესიისა და ხელობის ადამიანების მუშაობის პირობები ოდნავ მაინც გაუმჯობესებულიყო?

თ. ახვლედიანი,
ქ. ცაგერი.

ნიჭიერება სკოლაში

„თავშარავნის ტბას მაშინაც მოლურჯო ფერი გადაჰკრავდა. ალბად, ნათლისსვეტი ეშვებოდა ჯავახეთის თოვლიან მწვერვალებზე და მოჰკიოდა, მოჰკიოდა ქარი სასტიკი, როცა მოციქულთა სწორი ნინო კაბადოკიიდან საქართველოში გამოემართა...“

იქნებ ძნელი გასაგებიც არის პატარებისათვის ეს მადლიანი სტრიქონები, მაგრამ არა, დღევანდელ, ქარტეხილებით აღსავსე ეპოქაში ბავშვს სკოლაში მისვლისთანავე ისეთი მოძღვარი უნდა შემოეგებოს წინ, სულს რომ გაუსპეტაკებს, ზეციურ მადლს აზიარებს, მამულის საკურთხეველზე წმინდა სანთელს აანთებინებს და გულს ჩირაღდნით გაუნათებს, ასეთ პედაგოგთა რიცხვს არასოდეს ჩამოუვარდებიან ალპანის საშუალო სკოლის დაწყებითი კლასების მასწავლებლები. ყოველდღიური დაკვირვება მაფიქრებინებს, რომ მათი გულისთქმა ერთი მიზნისკენაა მიმართული, ისინი იბრძვიან პატარების ვარდისფერი გზების დამკვიდრებისათვის. იბრძვიან, რათა ბავშვების ლამაზი ოცნებები, შერწყმული რეალურ ცხოვრებასთან, კვანძავდეს პაწია კვირტებს მათ გრძნობა - გონებაში, რომლებიც მამართული იქნება მომავალი ჰეშმარიტების ძიებისაკენ.

ეს სტრიქონები 28 იანვარს გამართულმა ღონისძიებამ დამწერინა. წმინდა ნინო—ქართველთა განმანათლებელი, შემოგრძანდა ჩვენს დარბაზში „შეწყალებად სულთა ჩვენთათვის“. დღესასწაული უმთავრესად პატარებმა წაიყვანეს მანანა ქარსელაძის თაოსნობით. მიზეზი ამისა კი იყო, რომ იანვრის თვეში დაწყებითი კლასის 6 მოსწავლე ითვლის დაბადებიდან კიდევ ერთ წელიწადს, ხოლო ერთი მათგანი—ნინო ახალაძე ერთადერთი გოგონაა სკოლაში, ამ დიდებული სახელით 9 წელი რომ შეუსრულდა 27 იანვარს.

იფრქვეოდა მრავლისმეტყველი სიტყვები და ჩვენ, პედაგოგები ვხედავდით მათში იდუმალ ცეცხლს, სამშობლოსა და ერის ბედზე ფიქრით რომ ჩასახვიათ პატარებს. ამას გამოხატავდნენ არა მარტო ბაგენი, არამედ მეტად მგრძნობიარედ მეტყველი თვალები. ინფორმაციათა იმ მოზღვავებულ გარემოში, რომელშიც ყოველდღიურად გვიხდება ყოფა, მასწავლებლის ოსტატობაც ისაა, რომ აღსაზრდელებს შეაგრძნობინოს სამშობლოს ბედიცა და უბედობაც, გაათავისებინოს ტკივილი მისი. ვფიქრობ, საფუძველიც ეს იყო ღონისძიებისა.

... იყო მუსიკა, ლექსები, სიმღერები, იყო მილოცვა თანატოლთა თუ პედაგოგთა მიერ, იყო სამახსოვრო საჩუქრები, რომლებიც მანანა ქარსელაძემ და სკოლის დირექტორმა სულიკო ფრუიძემ გადასცეს ბავშვებს.

ღონისძიება დასრულდა გოგონების მიერ ფიცადთქმული სტრიქონებით: „თქვენი მოძღვნა გვახარებს, თქვენი ფიქრი ნამდვილი, გვსურს რომ გავხდეთ ისეთნი, აგისრულოთ წადილი. გავიზარდოთ, გვეხუროს თავზე წმინდა მანდილი. არასოდეს ვიქნებით მოქანცული, დაღლილი—ნინო წმინდა დღეს ვფიცავთ, მისი სულით გაზრდილნი“.

წმინდაო ნინო, კვლავ აღმართე ცხოველი ჯვარი შენი, რათა კუთვნილი სიხარული და სიყვარული არ წაერთვას ბავშვებს ქვეყნად. ლაჟვარდი ზეცა ფარავდეს მუდამ, მშვიდობა დაემკვიდროს ამ კურთხეულ მიწაზე, აღზარდე ვაჟები -სამშობლოს ერთგულ ჯარისკაცებად, გოგონები კი ნამდვილ ქართველ ქალებად, ვაჟა-ფშაველა რომ ბრძანებდა: „იკურთხოს დედათა ღვაწლი, მადლი სწყალობდეს უფლისა“.

უფალო, შეჰვედრე მრავალჭირნახული საქართველო, რათა მალე ამობრწყინდეს მის თაღზე თავისუფლების მზე!

ამინ!

ნივრა ფრუიძე.
ალპანის საშუალო სკოლის პედაგოგი.



საქართველოს რესპუბლიკა. თბილისის სამკერვალო ფაბრიკა „კოლხეთში“ მთლიანად დამთავრდა რეკონსტრუქცია და ტექნიკური გადაიარაღება. იაპონური ფირმების შემწეობით საწარმოში დამონტაჟდა დიდმწარმოებლური საკერავი მოწყობილობანი, რომელთა ათვისებაში აქაურ მკერავებს დაეხმარენ იაპონელი სპეციალისტები.

ეს საშუალებას აძლევს მკერავებს დაიწყონ ტანსაცმლის განსაკუთრებით მოდური მოდელების გამოშვება, ხშირად შეცვალონ ასორტიმენტი. ახლა „კოლხეთის“ კონვეიერიდან გამოდის მამაკაცის ქურთუკები და პერანგები, შარვლები, ქალის ლაბადები, „ნ“—ინდექსიანი („სიახლე“) სხვა ნაწარმი.

სურათზე: პროგრამისტი შ. გუგავა მუშაობს თანამედროვე ელექტრონულ მანქანაზე.

შ. აივაზოვის ფოტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი სამკლესიო კალენდარი

8 თებერვალი (ძველი სტილით 26 იანვარი) - დღე ხსენებისა წმინდა კეთილმსახურისა მეფისა ყოვლისა საქართველოისა დავით მეოთხისა - აღმაშენებლისა

აღმაშენებლობა

... ამიერითგან იწყეს ნიავთა ცხოვრე ბისათა მოგზერვად და ღრუბელთა მაცხოვარეგისათა აღმოჰვიროგად, ვინაი დან ათორმეტ წელ ამათ თვითმოსახეთა ჭირთა განგრძნოგითა გნელსა უკუ ნსა შინა იწყო აღმოცისკრეგად მზემან ყოველთა მეფოგათამან, დიდმან სახელითა და უდიდესმან საქმითა, სახელმოდგამმან დავით. ღმერთისა მამისამ ან, და თვით სამეოცდამეათურამეტემან შვილმან ამის დავითისამან, დავით

რედ გმინავდა დიდი თურქობის გახსენებაზე. სამეფო რეგალიები 16 წლისამ მიიღო. მეფე გიორგი II მალე მიხვდა, რომ მისი ჯერაც უწვერული შვილი უკეთ გაუძღვებოდა სამეფო საქმეებს, ვიდრე ამას მამა ახერხებდა.

იმეფა 36 წელიწადი (1089-1125). არაჩვეულებრივი, მორჭმული კაცის სიბრძნით შეუდგა ჭაბუკი სამეფოს მართვას, ნელნელა დაიწყო განდგომილ ერისთავთა და დიდგვაროვანთა შემორიგება, ურჩთა დასჯა და დაქსაქსულ ქართულ მხარეთა შემოერთება. გაატარა სახელმწიფო და საეკლესიო წყობილებათა რეფორმა. 1103 წლის რუის-ურბნისის საეკლესიო კრებამ დაუდო სათავე საქართველოს ეკლესიის გაჯანსაღებას. ერს მოძღვრად და გამგებლად გიორგი ჰყონდიდელი დაუყენა—თავისი მოძღვარი. თანდათან შემოიმტკიცა დიდი ხნის წინათ დაკარგული კახეთ-ჰერეთი, საქართველოს დაუბრუნა ამოგლეჯილი გული—თბილისი, აღადგინა 400 წლის წინ დაკარგული დამოუკიდებლობა, გახდა „მეფე აფხაზთა, ქართველთა, კახთა, რანთა და სომეხთა, შარვანშაჰ და შაჰინშაჰ და ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა თვითმფლობელობით მპყრობელი“.

ის განსაკუთრებული მოწიწება და სიყვარული, რაც ქართველობას მეფობის ინსტიტუტის მიმართ ახასიათებდა, დიდად იყო განპირობებული სწორედ დავითით. სხვა თუ განცხრომას ეძლეოდა, დავითს ერთი წუთით მოსვენების ნება არ მიუცია თავისთვის. არც თვითონ ისვენებდა და არც სხვას ასვენებდა. აი, როგორ ხსნის დავითის მემატიანე ამ ფაქტს: „ნათესავი ქართველთა ორგულ ბუნება არს პირველთგანვე.. რამე თუ რაჟამს განდიდნენ, გამუქნენ და დიდება პოონ და განსვენება, იწყებენ განზრახვად ბოროტისა, ვითარცა მოგვითხრობს ძველი მატიანე ქართლისა და საქმენი აწ ხილულნი. და ესე მან (დავითმა) უბრძენესმან ყოველთა კაცთმან, კეთილად უწყოდა. ამისათვისცა არაოდეს მოაცალა ამისად განზრახვად, ანუ განსვენებად... არამედ საქმეთა, რომელთა იწყო ქმნად, გაასრულნა მაღლად და შვენიერად“.

აი, ასე: გაასრულაო მაღლად და შვენიერად. აღაშენა განთავისუფლებული საქართველო, გადაარჩინა კავკასიის ხალხები გამუსლიმანებას, შექმნა ერთიანი კავკასიური სახელმწიფო, ააგო ეკლესია-ტაძრები, დააარსა გელათის აკადემია, ქსენონი, შეივრდომა და შეიწყალა გლახაკნი და ქვრივ-ობოლნი, ჩამოაგდო მშვიდობა სხვადასხვა სარწმუნოების ადამიანებს შორის, შორს გაუტარამ მაკედონელი მფლობელთა შორის; განმადიდებელ ფლობისა, ვითარცა ავღვისტოს კეისართა შორის; კაცთმოყუარე, ვითარცა ჩემი იესო ღმერთთა შორის; ბუნებით ღმერთი, მადლით ღმერთ-ქმნულთა შორის; მხურვალე, ვითარცა პეტრე მოწაფეთა შორის; საყუარელ, ვითარცა იოანე მეგობართა შორის; მკვრცხლ, ვითარცა პავლე მოციქულთა შორის; სახის დასაბამ უცთომელისა ქრისტეანობისა, ვითარცა დიდი კონსტანტინე თვითმპყრობელთა შორის; სიმტკიცე კეთილად მსახურებისა, ვითარცა თეოდოსი სკიპტრის-მპყრობელთა შორის... ყოველთა ვედრება, ყოველთა ლიტანიობა, ყოველთა ერთხმობა, ვითარმედ დავით კეთილად მსახურისა და ღმრთივ დაცვულისა მეფისა ჩუენისა მრავალმცა არიან წელიწადნი!...

ქვა სახელი საქართველოს, ქართულ ხმალს და ქართულ ჯვარს, ქართულ დროშას და ქართულ ხატს, „დავითფერულს“ და „დავითიანს“. ცხოვრება მისი იყო წმინდანისა, დათმენა ხოციელი ტანჯვისა, მოსმენა მოძღვრის სწავლებისა, საკუთარ ნებასურვილზე ქვეყნის ნებისა და საჭიროების ამაღლება. აკი შერაცხა კიდეც ეკლესიამ წმინდანად.

მრავალჯერ დაემუქრა სიკვდილი, მაგრამ გმირის სიმამაცემ დაახევინა უკან. მრავალჯერ გადარჩა სასწაულებრივად. ალბათ ღვთის შეწევნით. 52 წლისა გარდაიცვალა, ჯერაც ახალგაზრდა. დატოვა ანდერძი და „გალობანი სინანულისანი“, რა ჰქონდა სანანებელი ღმერთკაცს? დატოვა ხსოვნა უკვდავი და სამარადისო.

ერი თავის გმირებში პოულობს თავის სულსა და გულსა, თავის მწვრთნელსა, თავის ლონეს და შემძლეგლობას, თავის ხატსა და მაგალითს.

ილია.

ზეიმი ერის ერთიანობისა და სარწმუნოებრივი მთლიანობისა.

ბევრი ქართველი მეფის სახელი ღირსებით შერჩა ისტორიას, ბევრმა აალაპარაკა ერი და ბერი თავისი სიქველითა და ღვთისმოსაობით. იყო ფარნავაზ-ქართული სახელმწიფოსა და მწიგნობრობის შემქმნელი, იყო ვახტანგ გორგასალი, თამარი, გიორგი ბრწყინვალე, ბაგრატიონთა სახელოვანი დინასტიის წარმომადგენელნი. და დიდთა შორის უდიდესი, შემქნელი და აღმაშენებელი სრულიად საქართველოსი;

დაიბადა იმ დროს, როცა საქართველო თურქეთის მოხარკე ქვეყანა იყო, ხალხი ჯერაც მწარედ გმინავდა დიდი თურქობის გახსენებაზე. სამეფო რეგალიები 16 წლისამ მიიღო. მეფე გიორგი II მალე მიხვდა, რომ მისი ჯერაც უწვერული შვილი უკეთ გაუძღვებოდა სამეფო საქმეებს, ვიდრე ამას მამა ახერხებდა.

დავით მეფეს

არსენ ბერი

სიბრძნის-მოყუარეო შენ, უფროსად ბრწყინვალეო, თუალო ყოველისა სოფლისა მეფეთა ერთგუამობისაო, რომელი-ეგე ჰაეროვან ხარ; ვითარცა სამყაროს ხილულსა სოფელსა შორის; საჩინო, ვითარცა მზე, ვარსკულავთა შორის; ბრწყინვალე, ვითარცა ეთერი ნივთთა შორის; ნათლისფერ, ვითარცა ელვა ღრუბელთა შორის; ცისკროვან, ვითარცა აღმოსავალი კერძოთა შორის; ტკბილ, ვითარცა არე ყამთა შორის, ღმრთის სახე, ვითარცა საყუარელი საუნოებათა შორის; გულის—სათქუმელ, ვითარცა ოქროი მიწათა შორის; ელვარე, ვითარცა იაკინთი ქვათა შორის; მაღალ, ვითარცა ფინიკი ნერგთა შორის; შუენიერ, ვითარცა ვარდი ყუავილთა შორის: აღმატებულ, ვითარცა სამოთხე ქუეყანასა შორის; ძლიერ, ვითარცა ლომი მხეცთა შორის; მტკიცე, ვითარცა ანდამატი განუკუეთელთა შორის; სახელგანთქმულ, ვითარცა ნებროთ გმირთა შორის; ახოვან, ვითარცა ისო წინამბრძოლთა შორის; მოშურნე, ვითარცა ფინეზ მღდელთა შორის; მხნე, ვითარცა სამფსონ მსაჯულთა შორის; უბრძოლელ, ვითარცა აქილლევ ელლენთა შორის; ბრძენ, ვითარცა სოლომონ მეფეთა შორის; მშვიდ, ვითარცა დავით ცხებულთა შორის; შურისმეძიებელ, ვითარცა იოსია შარავანდედთა შორის; უზარო, ვითარცა მაკედონელი მფლობელთა შორის; განმადიდებელ ფლობისა, ვითარცა ავღვისტოს კეისართა შორის; კაცთმოყუარე, ვითარცა ჩემი იესო ღმერთთა შორის; ბუნებით ღმერთი, მადლით ღმერთ-ქმნულთა შორის; მხურვალე, ვითარცა პეტრე მოწაფეთა შორის; საყუარელ, ვითარცა იოანე მეგობართა შორის; მკვრცხლ, ვითარცა პავლე მოციქულთა შორის; სახის დასაბამ უცთომელისა ქრისტეანობისა, ვითარცა დიდი კონსტანტინე თვითმპყრობელთა შორის; სიმტკიცე კეთილად მსახურებისა, ვითარცა თეოდოსი სკიპტრის-მპყრობელთა შორის... ყოველთა ვედრება, ყოველთა ლიტანიობა, ყოველთა ერთხმობა, ვითარმედ დავით კეთილად მსახურისა და ღმრთივ დაცვულისა მეფისა ჩუენისა მრავალმცა არიან წელიწადნი!...

ერი თავის გმირებში პოულობს თავის სულსა და გულსა, თავის მწვრთნელსა, თავის ლონეს და შემძლეგლობას, თავის ხატსა და მაგალითს.

ილია.

დავით აღმაშენებლის ეპიზაფია

როს ნაჰარმაგევს მეფენი შვიდნივე კურად დამესხეს,
თურქნი, სპარსნი და არაბნი საზღუართა იქით გამესხნეს,
თევზნი ამერთა წყალთაგან იმერთა წყალთა შთამესხნეს,
აწე ამათსა მოქმედსა ხელნი გულზედან დამესხნეს.

არსენ იყალთოელი

რედაქტორი ნ. ნემსაძე.

თხევადი გაზით მოსარგებლე აბონენტთა საყურადღებოდ

მიმდინარე წლის 1 იანვრიდან გაზზე და სხვა მასალებზე ახალი საბითუმო ფასების მოქმედებაში შესვლასთან დაკავშირებით საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის 1991 წლის 30 იანვრის დადგენილების თანახმად დამტკიცებულია რესპუბლიკის ყველა მომხმარებელზე თხევადი გაზის რეალიზაციის ფასი 30 კაპიკი 1 კილოგრამზე. თხევადი გაზის 27 ლიტრიან ბალონებში მოთავსებულია 11 კილოგრამი თხევადი გაზი და მისი ღირებულება შესაბამისად შეადგენს 3 მანეთსა და 30 კაპიკს. აღნიშნული ფასები მოქმედებაშია 1991 წლის 10 თებერვლიდან.

ტრესტ „ამბროლაურიგაზის“ ადმინისტრაცია.

იზო მანდარიას
თამაზ გერუაშვილს

გილოცავთ ბედნიერებას. შვილთა სიმრავლე, სიკეთე და სიხარული დაეკვებოს თქვენს ახლადშექმნილ ოჯახს. ღმერთი იყოს თქვენი მფარველი.

ზუბის საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი და ტექნიკური პერსონალი.

ფატი გურგუჩიანს
მირიან გვიშიანს

გილოცავთ ბედნიერებას. სიყვარული და სიხარული იყოს თქვენი ცხოვრების თანამგზავრი.

კახა ბურჯალიანი, ბადრი გურგუჩიანი ოჯახებით.

ნარისა შოთას ასულ გერიძეს
თენგიზ ჟორას ძე მუშკუდიანს

ბედნიერი ყოფილიყოს თქვენი ახლადშექმნილი ოჯახი! გისურვებთ ულევ სიყვარულს და შვილთა სიმრავლეს. გფარავდეთ მაღალი ღმერთი აწ და მარადის.

ლია, აზა, ზაირა, თამილა, რუსიკო, მაია გულო, თინიკო, ხათუნა, ქეთინო.

ნარისა შოთას ასულ გერიძეს
თენგიზ ჟორას ძე მუშკუდიანს

გილოცავთ ბედნიერებას. სიკეთე, სიყვარული, სიხარული ყოფილიყოს თქვენი ცხოვრების მეგზური. გისურვებთ ბედნიერ და ლამაზ ცხოვრებას.

მზია, ნატო, ავთო, თემურ, მურადი, ვალერი. რამაზ, მამუკა ყურაშვილები, მამუკა, ზურია მამარდაშვილები, მერაბ ნემსწვერიძე, ავთო მანდარია.

იზო დუშას ასულ მანდარიას
თამაზ ნიკოლოზის ძე გერუაშვილს

გილოცავთ ბედნიერებას. გისურვებთ ფუძეძლიერი ოჯახის შექმნას.

ღმერთი იყოს თქვენი მფარველი.

ზოია, ზურაბ ომანაძეები, ყულიეტა, ყანვერ კოპალიანები, ფატი ედემი დავითულიანები.

ბილოცავთ

ვენერა სიმონის ასულ კვირკაშვილს ქიშვარდ რომანოზის ძე ხუბუკელაშვილს

გილოცავთ ქალიშვილის ბედნიერებას. სიხარული ავსებდეს თქვენს ფუძე-ჭერს. მოსწრეებოდეთ მრავალ შვილთაშვილს. ღმერთი იყოს თქვენი მფარველი.

ლაჯანის საშუალო სკოლა-ინტერნატის პედაგოგიური კოლექტივი და ტექნიკური პერსონალი.

თამარ, გულნაზი, სევერიან, შოთა კოკაიანებს

გილოცავთ შვილთაშვილისა და შვილიშვილის შეძენას. აღზრდილიყოს ჯანმრთელი და ერის სასახელო ვაჟკაცი

ნორა, გივი გოლეთიანები.

ღარისა ახვლედიანს
დათო სანთელაძეს

გილოცავთ ქალიშვილის შეძენას. აღზრდილიყოს ღირსეული ქართველი ქალი. კვლავ მრავალ სიხარულს შეევლოს თქვენი ოჯახის ფუძე-ჭერი.

მზია, თეა, როსტომ ზურაბიანები.

ბელა შოთას ასულ შაუგულიანს
კარლო კაენის ძე კოკალიანს

გილოცავთ ლელას ბედნიერებას. ფუძეძლიერი ოჯახის შექმნასა და შვილთა სიმრავლეს ვუსურვებთ.

დომნა, მარინე ხეცურიანები, ანზორ ლეთოდიანი ოჯახებით.

თაილი, ვალერი მუშკუდიანებს

გილოცავთ ქალიშვილის შეძენას, გისურვებთ გაგეზარდოთ ერის სასახელო ქალი. კიდევ მრავალი და-ძმა შემატებოდეს.

თაილი და გოგი ირემაძეები, მარინე და მევლუდი მეშველიანები, ლეილა და ჯემალ გვიშიანები.

ციცანა ყურაშვილი, ზაურ თაგვაძე, გივი ალავიძე, ნუგზარ გაფრინდაშვილი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ეორესი სვანიძე.

ეუჟეუნა, როლანდ, გელო, პეპო, ნანა ლაჭყეპიანები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ლენა ლაჭყეპიანი

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

გურამ ბერიძე, დემურ გულბანი, მიშა ბაკურაძე, მიშა უგრეხელიძე, გელა სილაგაძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ავთო ზურაბის ძე ქარსელაძე.

კარლო ასლანიკაშვილი, სერგო სილაგაძე, გალაქტიონ, ნოდარ ლიპარტელიანები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ლენა ახვლედიანი

ზუბისა და წიფერჩის საბავშვო ბაღების თანამშრომლები თანაუგრძნობენ ნელი ბენიძეს მაზლიშვილის

გოჩა ბენიძის

გარდაცვალების გამო.

ზაურ, გივი, რომან ახვლედიანები ოჯახებით თანაუგრძნობენ ლუიზა, მარგო, დალოსტი, ელგუჯა სვანიძეებს ძმის

ეორესი ბიკენტის ძე სვანიძის

გარდაცვალების გამო.

მიხეილ უჩაძე ოჯახით თანაუგრძნობს მარო ჩაკვეტაძეს, არსენ, ანზორ, რამაზ მეგრელებს ძმის, ცოლისძმის, ბიძის

კუჭიკო თადეოზის ძე ჩაკვეტაძის

გარდაცვალების გამო.

ეორა ხეცურიანი, ტარიელ გუგავა, ბიჭიკო მურცხვალიძე ოჯახებით იუწყებიან

ეორესი სვანიძის

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ცაგერის თესლეულისა და სარგავი მასალის ხარისხის სახელმწიფო ინსპექციის თანამშრომლები იუწყებიან, რომ გარდაცვალა ამავე ინსპექციის ყოფილი უფროსი

ლენა დომენტის ასული ლაჭყეპიანი.

მზახალი ვერა, შვილი ვიოლეტა, სიძე თენგიზი, შვილიშვილები ზაზა, პაატა ლეშაშელები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

გრიშა ანდრიას ძე შეკიშვილი

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

რაისაბჭოს აღმასკომის და სტატისტიკის განყოფილების თანამშრომლები თანაუგრძნობენ ეორა ახვლედიანის ოჯახს

ლენა ლაჭყეპიანის

გარდაცვალების გამო.

გურამ მუშკუდიანი, ანგელი ფრუიძე, რომან ხვადაგიანი, მურთაზ ბერიძე, ბესიკ ჩიკვაძე, მზია ცხვედიანი, ციური გაბიანი, სულიკო ყურაშვილი, ცაცა კუხალაშვილი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ეორესი სვანიძე.

ქალაქის დავით აღმაშენებლის ქუჩის №43-ში მცხოვრები მეზობლები თანაუგრძნობენ ნარგიზა, იური უგრეხელიძეებს დისშვილისა და ცოლისძმის

ავთო ქარსელაძის

გარდაცვალების გამო.

ანზორ მუშკუდიანი ოჯახით თანაუგრძნობს ანზორ, თემურ ბენიძეების ოჯახებს

გოჩა ანზორის ძე ბენიძის

გარდაცვალების გამო.

ჯეირან ახვლედიანი, მამუკა გურგუჩიანი, შმაგი ბურჯალიანი თანაუგრძნობენ ბახვა ბენიძეს ძმის

გოჩა ბენიძის

გარდაცვალების გამო.

ცაგერის საგზაო სამმართველოს თანამშრომლები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

გოჩა ანზორის ძე ბენიძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

კოსტა ღურჭუმალიძე ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა

ლენა ლაჭყეპიანი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ნოდარ, რომან, რევაზ ლეთოდიანები, ტრისტან სილაგაძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

გოჩა ანზორის ძე ბენიძე.

ჭფთიონ, ომარ, მერაბ, ზაურ კოპალიანები, დადაში, გულვერ, ბიქტორ, ხვიჩა, ჯონდო, თამაზ საღინაძეები, ომარ ჭაბუკიანი, რომან გვიდიანი, რობინ ლიპარტელიანი, რამაზ შკუბულიანი, მურთაზ ღურჭუმალიძე, გენური კვირკაშვილი, ეუჟუნა ცვარიანი, ავთო ჩიქოვანი, ირონდი ბენდელიანი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

გოჩა ანზორის ძე ბენიძე.

შოთა ბობოხიძე, მერაბ ჭარბაძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

გოჩა ბენიძე.

ეორა ყურაშვილი ოჯახით იუწყება

გოჩა ბენიძის

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

ცაგერის №23 საგზაო სს სამმართველოს თანამშრომლები თანაუგრძნობენ ელგუჯა ბენდელიანს ბიძაშვილის

გოჩა ბენიძის

გარდაცვალების გამო.

ვარლამ, გურამ, შიო, ნოდარ ჩაკვეტაძეები, თემურ ჩალაძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

გოჩა ანზორის ძე ბენიძე

და თანაუგრძნობენ განსვენებულს ოჯახს.

მურმან ქურასპედიანი ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა

გოჩა ანზორის ძე ბენიძე.

გია, თამაზ, თენგიზ ხეცურიანები, თემურ ცვარიანი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

გოჩა ბენიძე

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ცაგერის საშუალო სკოლის VI კლასის მოსწავლეები და კლასის ხელმძღვანელი ნუნუ მეშველიანი თანაუგრძნობენ ლაშას და ზაზას ბებიის

ლილი ლიპარტელიანის

გარდაცვალების გამო.

სარაიონო კულტურის სახლის და ცენტრალური ბიბლიოთეკის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ლადი, დიტო ლაჭყეპიანებს მამიდის

ლენა ლაჭყეპიანი-ახვლედიანის

გარდაცვალების გამო.

მამუკა ჩხეტიანი, ნოდარ ყურაშვილი, როლანდ გეგენიძე ოჯახებით თანაუგრძნობენ ციცოს და ბახვას მაზლისა და ძმის

გოჩა ბენიძის

გარდაცვალების გამო.

დადაში, ისიდორ, ნოდარ მურცხვალაძეები, დემურ უგრეხელიძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ავთო ზურიკოს ძე ქარსელაძე.

ბახვა კოპალიანი, გელა მამარდაშვილი, ბუჭუ ბენდელიანი, კახა ფუტკარაძე, გივი ნემსაძე, ბიკინა დავითულიანი, ეორა სილაგაძე, გელა ახვლედიანი, ვახტანგ ომანაძე ოჯახებით თანაუგრძნობენ ლუიზა და მარგო სვანიძეებს ძმის

ეორესი ბიკენტის ძე სვანიძის

გარდაცვალების გამო.

ნაირა, ინეზა, საშა, გელა ბენიძეები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

გოჩა ბენიძე.

ლუბა ყურაშვილი, გენადი სილაგაძე, ჯოკია შკუბულიანი, ალუდა ზურაბიანი, მელორი მამარდაშვილი, ვანო, ჯანიკო ლეთოდიანები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ლენა ლაჭყეპიანი-ახვლედიანი

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

პროფტექნიკური სასწავლებლის თანამშრომლები თანაუგრძნობენ მარინე და მერაბ ახვლედიანებს დედამთილისა და დედის

ლენა ახვლედიანის

გარდაცვალების გამო.

ცაგერის საშუალო სკოლის კოლექტივი თანაუგრძნობს მარინე უგრეხელიძეს და დოდო ნემსწვერიძეს დედამთილისა და ბიძაშვილის

ლენა ლაჭყეპიანის

გარდაცვალების გამო.

ჯუმბერ ცვარიანი ოჯახით თანაუგრძნობს ლუიზა, მარგო, დალოსტი, ელგუჯა სვანიძეებს ძმის

ეორესი ბიკენტის ძე სვანიძის

გარდაცვალების გამო.

ბაბუცა, გენური, სოსო ქარსელაძეები ოჯახებიან იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ელიკო ოდილაძე-ბაკურაძე.

ციალა, ავთო, ჭიჭიკო ჯიაძეები ოჯახებით იუწყებიან რომ გარდაიცვალა

გოჩა ანზორის ძე ბენიძე

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

პროფტექნიკური სასწავლებლის თანამშრომლები თანაუგრძნობენ შარდენ გუგავას რძლის

ლუბა გუგავას

გარდაცვალების გამო.

მურმან, ავთანდილ გუგავები, სოსო კოპალიანი, ზაურ, რომან ყურაშვილები, ვახტანგ სვანიძე, ბორის ჭაბუკიანი, გენური ახვლედიანი, ბეჟან ტვილდიანი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ეორესი ბიკენტის ძე სვანიძე.

დისშვილები პინა, შურა, ეუჟუნა, ლენა, ნელი სვანიძეები, სიძეები დანიელ ონიანი, ნოდარ ზურაბიანი, გივი საღინაძე, ოთარ ხაბულიანი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

მატო ივანეს ასული მუშკუდიანი-ჭაბუკიანი.

ცაგერის №23 საგზაო სს სამმართველოს თანამშრომლები თანაუგრძნობენ შამილ შკუბულიანს ბებიის

ნადია თუთისანის

გარდაცვალების გამო.

რუბენ ჩაკვეტაძე, ელგუჯა ბენდელიანი, ტიტიკო კოპალიანი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ლენა ლაჭყეპიანი.

შვილები ვიოლეტა, ეორა, და თამარი, რძლები ნანული შეკიშვილი, ლენა ... შვილიშვილი თამილა კიკვილაძეები, მეი გუგავა, სიძეები ... ლენა შელი, ჯუდუ ნემსწვერიძე, შვილიშვილები შმაგი, შერმანდინი, შორენა, ზაზა, პაატა, შვილთაშვილები გიორგი, ნანა, ბიძაშვილები სულიკო, ცაცა, დისშვილები, მამიდაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

გრიშა ანდრიას ძე შეკიშვილი

დაკრძალვა 9 თებერვალს, შაბათს, სოფ. უსახელოში.

ცაგერის №23 საგზაო სს სამმართველოს თანამშრომლები თანაუგრძნობენ დარეჯან და თენგიზ ჩაკვეტაძეებს ბიცოლის

ლენა ლაჭყეპიანის

გარდაცვალების გამო.

განათლების განყოფილების თანამშრომლები თანაუგრძნობენ მერაბ ახვლედიანს დედის

ლენა ლაჭყეპიანის

გარდაცვალების გამო.

გრიშა ბენდელიანი, ბახვა კვირკაშვილი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

გოჩა ანზორის ძე ბენიძე.

ბარდნალის საშუალო სკოლის 1990 წლის კურსდამთავრებულები თანაუგრძნობენ მერაბ ახვლედიანს დედის

ლენა ლაჭყეპიანის

გარდაცვალების გამო.

ზაურ მუშკუდიანი ოჯახით თანაუგრძნობს ეორა ახვლედიანს მეუღლის

ლენა ლაჭყეპიანის

გარდაცვალების გამო.

ჯუმბერ საღინაძე, ვანო, როლანდ სილაგაძეები, გივი, გიზო, ელიშუქ, ბენია ახვლედიანები, მერაბ ბურჯალიანი, გიზო კალანდაძე, ჯონი ხმელიძე, კოლია ფუტკარაძე, ჯუმბერ ბენდელიანი, ჯანიკო ლეთოდიანი ოჯახებით თანაუგრძნობენ დალოსტი და შურა სვანიძეებს ძმისა და მაზლის

ეორესი სვანიძის

გარდაცვალების გამო.

არსენა მეგრელი ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა

კუჭიკო თადეოზის ძე ჩაკვეტაძე.

ცაგერის კოლმეურნეობის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ნათელა ჩაკვეტაძეს ბიცოლის

ლენა ლაჭყეპიანის

გარდაცვალების გამო.

გიგლა ბენიძე ოჯახით თანაუგრძნობს დალოსტი, ელგუჯა, მარგო, ლუიზა სვანიძეებს ძმის

ეორესი სვანიძის

გარდაცვალების გამო.

ნუგზარ საღინაძე ოჯახით თანაუგრძნობს ვიოლეტა, თენგიზ ლეშაშელებს მამისა და სიმამრის

გრიშა შეკიშვილის

გარდაცვალების გამო.

ქუჩუკი შკუბულიანი, მიშა ყურაშვილი, ვახტანგ ასათიანი ოჯახებით თანაუგრძნობენ ლენა და რუბენ გოგიძეებს ძმისა და ცოლისძმის

შოთა რეხვიაშვილის

გარდაცვალების გამო.

კინოფიკაციის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ჯანიკო კვირკაშვილს ბიძის

ბიჭიკო ლეშაშელის

გარდაცვალების გამო.

ზუბის საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლეები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

გოჩა ანზორის ძე ბენიძე

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის ქუთაისის პოლიგრაფიული გაერთიანების ცაგერის სტამბა.